საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 13 2020 წლის 22 იანვარი ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ნანა ყუფუნია – მსოფლიო ბანკის პროექტის – „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ კონსულტანტი – საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ხიშტოვანი – ა(ა)იპ – პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარიამ ჩაგელიშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში – „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ – საბჭოს მდივანი;

ნატო ქიტიაშვილი – სს „საქართველოს უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე;

ანა საბახტარიშვილი – ა(ა)იპ – ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

გიორგი პერტაია – სსკ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;

მარიამ ქუჩულორია – ა(ა)იპ – ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;

გიორგი ტრაპაიძე – სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ნინო კაკულია – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

შორენა ჯაფარიძე – პროფესიული განათლების ექსპერტი;

ნოდარ მამინაიშვილი – ა(ა)იპ – არაფორმალური განათლების ახალგაზრდულ ცენტრ „მზიანი სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე.

გიორგი გახარია